

რედაქცია

მოღონის (აბას-აბატის) მედნზე; შორანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მედიკინის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის ღირებულება

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სერბულს, უკრაინულს, ცუხულს ენებზე.

განცხადების ღირებულება

ღირს ასობით, ასობით — 1 კაპ., ასობით-ყოფით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციფროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწავლებს და შეამოკლებს გამოცხადებულ სტატიებსა და ლუბებულ სტატიას ავტორს არ დაუბრუნდება.

# დროება

გამოდის კვირასობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

## საქართველო

### მცირე რამ ახალ-დგამაზე

#### ზაიძეებზე

სხვა დროსაც მითქვამს, ერთი შემტყუნი ანდაზა გვაქვს ქართველებს: „რა ქვეყანაშია ცხენები იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეს!“

ეს ანდაზა თუმცა ქართველ ტომის ზნეს არ გვიხატავს, მის ნიადაგზედ მოსული არ არის, მხოლოდ სპარსეთიდან არის შემოპარებული, მაგრამ მაინც ამ ანდაზის მიმყოფები ყოველთვის ყოფილან და დღესაც არიან სტუდენტებში; ესენი როგორც ნიჭიერი აქტიორები ისე იცულებიან და სადაც რა გამოადგებათ, იმ საშუალებას ხმარობენ.

ეს გაიძვერები დიდხანს მოჰქმედებდნენ ახალ-თაობის სახელით. იქითაც იყვნენ და აქითაც. მრავლად მხარეს ატყუებდნენ და მით თავის საქმე კარგათ მიჰყავდათ.

როცა არაფერი ჰქონდათ და უხარისხოდ დანახალკებდნენ, მაშინ ისინი პირველი ხალხის კეთილ-მზრუნველნი იყვნენ; მუშასტუდენტებს ილაჯს უწყევტდნენ: თუ ასე უნდა ექნათ ესა და ეს საქმე და ამგვარად თავი უნდა შევსწიროთო, შრომასაო. და ბოლოს, როცა კი გაძლიერდნენ და მათი მუშური მდგომარეობა საბატონო საპატიო მდგომარეობაზე შეიცვალა, მათაც იცვალეს ფერი. გადავიდნენ სულ სხვა ბანაკში და თავის ძველ-მოქმედებას მითი ინანებდნენ, რომ მოჩილებით ეუბნებოდნენ, ახალ-მოყვრებს: „ღღეს მივხედით, რომ ჩვენ შემტყუნი ვიყავით და ვემაწვილობდითო, აწ კი თქვენთან სიკვდილით და სხ!“

სულსაც კაცს თვისი ცუდი მოქმედების მოწამე ეჯავრება!... როდესაც ერთი ვინმე ლალატობს მეორეს, მაშინ მიხეხილნი რომ არ ჰქონდეს მოლალატეს, მაინც უშურს იღებს გულში და პირ-იქითვე მტრობს იმას, ვისაც უმზებოთ თვითონ უღალატა და ვინც არც კი სდგენის ლალატისათვის.

ეს რისგან არის? მისგან, რომ მოლალატეს ხანდახან სინდისი აწუხებს, ღარ ასვენებს და ამ გვარად, ის, ვისაც უნდა და ძალა-უნებურად ებლანდება თვალთ წინ ამხილებს და მაშა სადამე მოლალატე იძულებულია, რომ მისგანვე წარმოადგინოს მხილებელი როგორმე თავიდან მოიშოროს, გააქროს...

ასე მოუვიდათ გაიძვერებსაც: კარგათ ჰგონებდნენ, რომ ძველ ამხა-

ნაგების თვალის ახვევა და მათ წინ თავის გამართლება აღარ შეეძლოთ და ამისათვის მოინდომოს მათი მტრობით დევნა.

როგორ უნდა მოეხერხებინათ ეს განძრახვა?

როგორც ზნობითად მათზედ ძლიერებს პირდაპირობას ვერ უბედავენ და ქვეშ-ქვეშობას მიჰყვებიან ხელი თავ-დაუზოგავათ. პირველ იარაღთ იხმარეს ყოველ გვარი ცილის წამება; მაგრამ თვითონ კი არ გამოდიოდნენ მოედანზედ, საბრალო ქაფუშუტები მიიბარეს, იმათ მიიტანეს პირველი გაიძვერული იერიში მუშა სტუდენტებზედ; და თვითონ კი ჩუმ-ჩუმად, ბრძნულად დასტურს აძლევდნენ, ვითომ და გულ-მტკიცეყულად.

შინ არ იცის, რომ საქმის კაცს და მუშას სააღერსოდ და ქარაფ-შუტებთან სამეგობრო დრო არა აქვს და მთლად — გაიძვერებს კი მეტი საქმე ღარ აწუხებს რა! აი, ამის ბრალიაო რომ ქარაფ-შუტები გაიძვერებმა ჩაიგდეს ხელში, ყურმო-ჭრილ-ყმებათ გაიხადეს და მუშებმა კი ვერა.

რაცხვით მრავალნი მცირეოდენ მუშებს არც ზოგავენდნენ, მაგრამ ბევრი ენება კი მაინც ვერა მოუტანეს რა მათ, თუმცა მოუსვენრათ კი აძაგებდნენ და აშაგებდნენ ხალხის თვალში...

ხალხმა ვერ კი დიჯერა ჰორად თქმული, მაგრამ ბოლოს, როდესაც საქმეს სულ წინააღმდეგი დანახვა, მაშინ კი, ცოტა არ იყო, ჩაფიქრდა! ბევრჯერ გაგვიგონია, რომ ძველ-კაცებს ეთქვასთ რომელიმე მუშაზედ:

„იქე! საკერველია, თქვენ ნუ მომიკედებით; ამა და ამ კაცს ყველა აძაგებს, ბევრს ცუდს საქმეს ჩადისო, და თვალთ კი ვერაფერ ხედავს და რაფა არის ეს საქმე? მათი კი მაკვირვებ: რა ემართება იმ უბედურს, რომ თავის თავის უბედურია? შოლიფრათ მარჯვეა, სხვებს ეხმარება და თავის თავს კი ვერაფერს ურიგებს!.. ახლა, ბატონო, იმ მეორეს შეხედე, იტყვის რომელიმე გაიძვერავზედ, პირველზედ მეტი ვერაფრით ვერ არის, მაგრამ ეს თავის საქმე რომ კარგათ მიჰყავს!.. მიკვირს, ძალიან მიკვირს ეს საქმეო.“

ძველი კაცი ამაში მართალია: ღროთა ვითარებას უჩვენებია მისთვის დღემდე, რომ ჰქვიანმა კაცმა უსათუოთ თავის თავს უნდა არგოს

რამე და ცხოვრება გაიკეთილ-დღეობსო; კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ამას კი აღარ ჰფიქრობენ, თუ რა საშუალებით! ამ აზრის წინააღმდეგი არც მუშები არიან, და თუ კი რომ კეთილ-შრომასა და პატიოსნობის ფასი ჰქონებოდა, ისინიც კეთილ-დღეობაში იქნებოდნენ, მაგრამ ხედევენ რომ უფრო მრუდე საქმეებით შეიძლება კეთილ-ცხოვრების მოპოება, ამისათვის ჰგმობენ იმ მრუდე საშუალებებს და სცდილობენ, რომ შემდეგ დამისთვის მაინც მოასწარფონ ის ნეტარი დრო, როდესაც კეთილ-მუშას სიცოცხლე გამწარებული აღარ ექნება.

ამის ახსნა თავის-თავათ ყველა ძველ-დამის კაცს არ შეუძლიან, მაგრამ უნებურად და რალაც გამოურკვეველად კი გრძობს გულში სიძარბოს და მუშათაგანს უფრო ენდობა თავის გულში, ვიდრე გაიძვერას. — მეგება ხშირად ამის გამოთქმასა და საქმით გამოჩინას ვერ ბედვიდის.

ხშირად გაცარცული მშვიერი გამცარცველ მძღარს შენატრის და ამბობს: „ნეტავი შენ! მე და ჩემმა ღმერთმა, ჰქვიანი ხარ, თორემ თუ უჭკუო ყოფილიყავი, შენც ჩემსავით მშვიერი იქნებოდი და სხ...“ მართლა ამას ანობს, მაგრამ ეს ცრუ და არეული აზრი მისი გულის პასუხი არ არის კუჭის გამწარება აღაპარაკებს, თორემ თუ გაძლა და კუჭი დაიმშვიდა, მაშინ კი სულ სხვა სდამიხებს: „შენ ღვთისაგან შეჩვენებულყო, მცარცველობათა და ცუდკაცობით რომ გაკეთებულხარ, მითი მოგწონს თავი განაო?“ ეტყვის და თუ მოახერხა, ასეთს ჩაუბუნლისთავებს მცარცველს, რომ ყირაზედ გადიყვანს.

ასეა ხალხიც: გამწარება და გაჭირვება აცემინებს პატიეს გაიძვერებისათვის, თორემ გულში კი იციან, რომ ისინი სიძულვილის ღირსნი არიან.

ამის მაგალითები ჩვენშია ცოფილა. ჩვენ გვინახავს, რომ ხალხს რომელიმე უფერად გამდიდრებულ გაიძვერასათვის ქების ტაში დაეკრას, მაგრამ ბოლოს კი ეთქვასთ, თუ ეს კაცი საძაგელი და მოსარიდებელია! აგრეთვე ისიც გვინახავს, რომ ხალხის თვალში ძალიან საქმეები გაიძვერათს უბრალო დაცინებას ისე დაეფრთხოს, რომ ენა დაბმოდეს და მაღლიდან მაღაყით ტლაპოში ერგვე-ვინებოს თავი.

ეს შენიშნეს გაიძვერებმაც და რალ-განაც პირველმა საშუალებამ, ე. ი.

ხალხის წინაშე სხვა და სხვა გვარ-ცილის-წამებამ, რომ უნდოდათ, იმისთანა ნამყოფი ვეღარ მოუტანა, ამისთვის გამოიგონეს მეორე საშუალება: ჩვეულებრივს გაიძვერავითა და ფარისეველობით აშტკიცებენ, ვითომც მუშა სტუდენტები მართებლობის წინააღმდეგები იყვნენ და სხ... .

ამ ცილის-წამებასაც იმდენივე სი-მართლეს აქვს, რამდენიც პირველს!

მართებლობას აქვს მზრუნველობა რომ ჩვენი ხალხი განათლოს და მით გამოიყვანოს აწინდელ ცუდ-მდგომარეობიდან! მეთილი და პატიოსანი! ამ აზრზევე არიან თან გადაყოლილი მუშებიც. იმათაც ჰსურთ, რომ ჩვენი ხალხი განათლდეს და ზნობითაც ამაღლებულა განთავისუფლდეს იმ ღვწურებისაგან, რომელიც მძიმე უღელივით კისერზიდ აწევს.

ამ ჰაზრს ჰსურავენ ისინი თავ-გაწირვით თავის კეთილ-დღეობას და ვინც წინააღმდეგია მათის სურვილისა, იმას ჰგმობენ. — აქედამა სჩანს, როგორათაც მართებლობის მზრუნველობა აგრეთვე მუშა სტუდენტებს უნდა უნდოდეს, ვითომც მშვიერი იქნებოდა და სხ... . ისინი არა თუ ეწინააღმდეგები არ, ეხმარებიან მმართებლობის აზრს და აურცვლებენ ხალხში. და მაშინ არის ის, რომ ამ კეთილ მოქმედებას მუშა სტუდენტებს ორგულობით ჩამოართმევს? აქ თვალთ-მაქცობა ხომ არა არის რა?!

მუშა ახალგაზრდა დაუფარავად ამბობს, რაც ეჭირება და რაცა სჭირს დღეს ჩვენს ხალხს!..

ზეთხარით, ან აქ სად არის წინა-აღმდეგობა?

მე გგონია, რომ ყოველი პატიოსანი კაცის ვალია ცუდი რამ საქმის გამოცხადება. მაშასადამე მუშა სტუდენტები თუ ცუდს ამჟღავნებენ რამეს, ეს რათ ვინმეს მიაჩნიათ მმართებლობის საწინააღმდეგოთ და არა პატიოსან საქმეთ? თუ აქაც რამ ცუდ-ლულუტობაა?!

არა, რაც უნდა სთქვან, ყველა ტყვილია.

მუშა სტუდენტები პირდაპირ და თამამად მუშაობენ, საქმე-ქვეშა არა აქვსთ რა, და ვინც შეხედავს მიხედება, რომ იმათ მოქმედებაში მმართებლობის საწინააღმდეგო არა არის რა.

მაშ მუშების კეთილი ჰაზრის მსგე-ლელობა ცილის-წამებით ვერ უნდა შეიშალოს. ამას თვით დროც გამოაჩენს, იმედა. „პირველი მოჩივარი მართალი ეგონათო“ ნათქვამია ანდაზათ, მაგრამ ცრუ მომჩივანი აღრე თუ გვიან გაამართლდება. ზაიძეებზე არიან ხალხისთვის



ურგები და მანებელი და ამისათვის მიაჩნიათ ისინი მუშა-ახალგაზღვრებას საზიზღარ მოვლინებად.

და მართლაც, ნუ თუ ისინი უფრო საშიშნი არ იყვნენ ჩვენი ქვეყნისათვის უბრალო ქურდებსა და ავაზაკებს? მურდი ცოტა რამეს იპარავს და ისინი კი ჰპარვენ ჩვენ ხალხს ზნეობით ღირსებაებს. ავაზაკი ერთის ვისმეს მკვლელია და იანნი კი მით, რომ მათის მიხედვით ახალგაზღვრები მრუდე გზას ადგებიან, რამდენს სულსა ჰღუპავენ და ზნეობათად ჰკლავენ!

აი, ეს მიზეზია, რომ მუშა სტუდენტები სკდობდნენ მათის მოქმედების, მათის კაცობის გამოაშკარავებას, თორემ მათან საპირადოდ სადა სცალიან, — და ეს, ამ გვარი მათდამი სიძულილა გაიძვერავენ, რასაკვირველია, სურს მითი ახსნან, რომ, ვითომც იმათ ერთგულებისათვის ორგულები ემტყრებოდნენ.

პიროვნებას არ ვეხებთ, აქ ჩვენ საზოგადოთ ვამბობთ; მაგრამ უში-სოთაც ვინ არ იცნობს მათ?

ღღეს კიდევ აქვს ძალი ამ გაიძვერავენ, მაგრამ მუშა ახალგაზღვრები უნდა ეცადონ, რომ ისინი ამოგლიჯონ ჩვენის ხალხის გულიდამ ისე, როგორც ვკალი და საწამლაი. აქას მოითხოვს კეთილგონიერება და სინიღისი! — თორემ, თუ ისინი გაძლიერდნენ, თქვენი მტერი, რამდენს სხვისაც გადიოლივინ! რაც უფრო ძლიერები იქნებიან, უფრო მეტს ენებას მოიტანებენ და ამ საქმეზედ ჰპარებდნენ მუშებს ჩაფიქრება.

მაშინ ის ქარაფშუტები, რომელნიც მათ მიჰკედლებიან და მათის ჩაბერვით ბერს სცოდავენ, იძულებული იქნებიან მუშებს მიემხრონ.

აკაი

„დროის“ კორრესპონდენცია

ზორი, მარტის 20-ს

თუ რამდენათ კარგი საშუალებაა ქურდებისა და ავაზაკების მოსაძებნათ იქვე სოფლელი კაცის დაყენება, ჩვენ ეს ორი მაგალითი გვიმტკიცებს: ერთი, როგორც უ. მანელი კორრესპონდენტი იწერება ხარაგაულიდამ და მეორეც აქ, ზორში, მოხდა, როდესაც ექვსი გაქცეული ავაზაკები დაიჭირა ნახალხის თანამეგობრებმა, რომელსაც ერთმა ეილაშაც სოფლელმა უჩვენა ქურდებზე. სოფლელმა თავის მეზობლების ამბავი, ვინ ქურდა და ვინ არა, უფრო იცის და უფრო მოჰსძებნის, ვინე ჩაფრები, ან სხვა ვინე ამათანა პირნი.

ამისათვის, ჩემის ჰაზრით, ძრიელ კარგი უნდა იყოს, რომ თითოეულმა სოფელმა ამოიჩინოს ორი-სამი უსკოლ-შვილი კაცი, ან ისეთი, რომელსაც ოჯახში ცოტა სარჩენი ჰყავს, მიანდონ იმათ ეს საქმე და მასთან, რასაკვირველია, ცოტა სა-

ცუცნაივც გაუჩინონ. რადგან სოფლელებს, უამისოთაც გაყელეფილებს, ამათვის ფულების გარდხდა არ შეუძლიანთ, ისევე სჯობია, რომ წლიური საზრდო, რომელიც გლეხებს უფრო ვადვილებათ, გაუჩინონ; რადგანაც იმათაც ბევრი ზიანი აქვს ქურდებისაგან, მთავრობამ კი სახელმწიფო გარდასახადი შეუმციროს, ან სულ ააცილოს, და მაშინ ისინი ბეჯითად და გულ-მოდგინეთ მოჰკიდებენ ხელს მიწოდებლ საქმეს.

სოფ. მეტეხს ამ ცოტა ხანში ვამდე კაცები დახრილან რაღაც გაუგებარი ავთამყოფობით. მრთი იქაური სოფლელი გლეხი ამბობდა: მამასახლისს უნდა უჩივლოთო, რომ იმან ეს საქმე მთავრობას არ გააგებინაო.

ამას წინეთ ერთს იზოშჩის ორლანშიკი და სხვა ბაზრის ლოთები წაყენა ზორს გარეთ საქეთოთ; გზაში ჩხუბი მოსვლიყოთ, აელო იზოშჩის დანა, ეკრა მუცელში მეარლანისთვის და მშვიდობით.

ზორის ახლო-მანლო სოფლებში ისეთი თოელი ჰყოფილა, რომ ერთ ოსების სოფელში კლდიდამ ზევი წამოსულა და ერთი კომლი, თექვსმეტი სული, კაცი ქვეშ მოუტანია.

ქვენობა ქალაქებში მოსვს და ახლა სოფლებში დაუწყვიათ. მრთ სოფელში, ნამდვილად გავიგე, შეკრებილან ასამდე კაცები, ორი-სამი ყვენებათ გაკეთებულან, რაღაც ნაირი ჩალის ქედში ბატის ფრთები გაურჭვიათ, პირის სახე და ხელები მურით გაუსერათ, სხეები იასაულათ წაჰყოლიან და ჩამოუვლიათ სოფელ-სოფელ. მივიდოდნენ თურმე მოსახლისას, რომელიც ყოვლისფრით მზათ დახედებოდა მოუპატიჟებელ სტუმრებსა, — და ურაა! დაიყვირებდნენ სამჯერ.

— ბატონ ყვენს გაუშარჯოს! როგორ კარგათ, როგორ მშვიდობით ბძანდებით? მიეგვებებიან ამ სიტყვებით.

— აბა ღვინო და პური! დაიძახებენ იასაულები. ბოლოს, როცა ბლომათ შეაგროვებენ, დასხდებიან ერთ სახლში და გამოიბრუშებიან.

„ღიმა ბატონებმა“ აქ ბევრი, ძალიან ბევრი დახდა, და ყველა ქართველებში, მიზეზი სიკვდილისა, როგორც დოქტურს უთქვამს, დაუდიერობა და ცრუ-მორწმუნება; რუსებში კი, როგორც არ უყურებენ ამისთანა ცრუ-მორწმუნებას, წამლობენ და სუფთად ინახვენ ავთამყოფს, დოქტურის რჩევას ასრულებენ, ერთიც არ მომკვდარა, ყველამ კარგათ მოიხდა. წარმოიდგინეთ ქართველი ავთამყოფი, რომელსაც პერანგი თავის ამხანაგით და წეწარბალიშის პირი ზედ შემოაღობია ჭუჭყით, მაგრამ არ უცვლიან: „ბატონები იწყენენო“, რომელსაც სული უმწარდება და ნაცელად კარგი ჰაერისა, ბამბისა და ნიგვისის („ბაზმის“) ბოლოს უბრჩოლებენ ცხვირ-პირში, — თავის ტყვილით ლამის

მოკლეს, ფეხის ხმა ეჯავრება, და „იანანას“ ღრიალებენ, ათი თერთმეტი დღეა მუცელში შეკრულია და საფარლათო წამალს არ აძლავენ: „ბატონები იწყენენო!“

ამისთანა მდგომარეობაში ავთამყოფი მოკვდება, მა რაკეთილი უნდა დაემართოს!...

მრთ ქართველს დოქტორი წაუყენა ავთამყოფის სანახად. სახლში, რასაკვირველია, ბამბისა და ნიგვისის ბოლი იდგა, ავთამყოფი ჭუჭყიან ტანისამოსში. „ავთამყოფი კი არა, მე რომ ნახევარ საათს დაერჩე აქ, უთუოდ სული ამომხდებოდა“ — ეთქვა დოქტორს.

ნათქვამია: „რეგენი საქმეს წახდენს, ფათერაკს დაბრალებსო“, სწორეთ ეგვრა ჩვენი საქმეც. ჩვენი უჭკუობით ავთამყოფები გვიკვდება და „ბატონებმა ინებესო“ ეამბობთ... რომ სთქვას ვინმემ, რომ წითელა არ არის მართლა სულიერი საგანი, რომ ის ისეთივე ავთამყოფობათაგანია, როგორც სხვა, რომ ყველანაირი წამლობა აუცილებელი საქარობაა და სხ., დარწმუნდით, უღმერთობას შეგწამებენ და ისე გაგლანძღვენ, რომ მტკვარმაც ვერ გაგწმინდოთ.

თეოფ. პანდელაკი

რუსეთი

✶ მრთს პეტერბურდის გაზეთში ძალუგიდამ იწერებიან, რომ ჩვენი გუბერნიის სასოფლო საზოგადოებებში ხშირად ყველა საზოგადო საქმეებს ქალები სწყვეტენო. თაეიანთ ქმრებისა და მამების მაგიერად, რომელნიც ხშირად ლოთობაში ატარებენ დროს, ქალები მოდიან სოფლის კრებებზე და საქმეებს არიგებენო.

✶ მეორე გაზეთში სარატოვის გუბერნიდამ იწერება კორრესპონდენტი, რომ ერთს აქაურს სოფელში კრებამ ერთს გლეხს სამიკიტნოს გახსნის ნება მისცაო; მაგრამ ამ გადაწყვეტილების წინაღმდეგი ქალები გზდნენ და იმდენი ეცადნენო, რომ მართლაც არ გაახსნენეს სამიკიტნო. ამ შემთხვევაში ჩვენი რუსის დედა-კაცები სწორეთ ისე მოიქცნენ, როგორც ამერიკელი ქალები იქვეიანო.

✶ ამ სამი წლის წინათ რომ საზარის გუბერნიაში შიმშილობა იყო, იმ დროს ზოგიერთ იქაურ ქალებმა საზოგადოება შეადგინეს და დამშეულებიისთვის ფულებს, ფქველს და სხვა შესაწირავს ჰკრებდნენ. ბაზეთეში გამოცხადებულია ახლა ამ საზოგადოების ანგარიში, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ სულ 495,016 მანეთი ფული შეუკრებიანთ და 3,000 მანეთის ხორაგი. ამ ფულით ივლისის პირველამდი 114,705 დამშეული ურჩეიანთ; ზოგისთვის პური მიუციათ, ზოგისთვის კარტოფილი, ბრინჯი და სხვა.

✶ ხარკოვის ქალაქის გამგეობას

რთიცილოური ცნობა, მისივე ქალაქი ხარკოვეში ტენილოვოვი ინსტიტუტის გახსნას არაერთარი დაბრკოლება არ ექნებაო.

✶ მდგისის რუსული თეატრი, როგორც მოქმეებული ნაწილი რუსეთის პროვინცილოური თეატრები, დღემდი ერთი კაცის-ანტრეპრენიორის ხელში იყო, რომელსაც მოთამაშეები დაქირავებული ჰყავდა და რომლის ხელშიაც ყველა შემოსავალ გასავალი იყო. ახლა იწერებიან, რომ აქაურ მოთამაშეებს ამ ანტრეპრენიორისაგან თაეი დაუხსნიანთ და მდგისის თეატრის წაყენა თეითონ უკისრნიანთ ყველას ერთად-არტელოით; რაც შემოსავალ-გასავალი და მოგება იქნება თეითონვე დარჩებათ.

უცხო ქვეყნები

საშრანბათი. („დროის“ კორრესპონდენცია.) ამ უკანასკნელ დღეებში დიდი ცვლილებები მოხდა საფრანგეთში. დამტკიცდა რესპუბლიკის კონსტიტუცია, შესდგა სამინისტრო და ნაციონალურმა კრებამ თავის პრეზიდენტათ ამოარჩია გერცოგი მდიწრე პაკეი.

ჩემი პირველი წერილი ვუძღვენი მხოლოდ რესპუბლიკის დაარსებას საფრანგეთში; ცხლა მომყავს თეთ კონსტიტუციის და სენატის კანონები. ამ კანონებიდამ ადვილად დაინახება, თუ რამდენათ საეჭვოა ჯერ-ჯერობით რესპუბლიკის მკეიდრათ დაარსება და რამდენ მახეშია ის გამამული. (მს მუხლები ახალი კონსტიტუციისა „დროის“ მე-26 ნომერშია მოყვანილი, აგრეთვე სენატის კანონიც, და ამიტომ ხელმეორეთ აღარ ვებჭდავო. რედ.)

რაც უნდა ბევრი ნაკლულევენება იყოს ამ კანონებში, მინც ამდენი ხნის უთაებოლოებას და უღლეურ მართებლობას ბოლო მოელო და ქვეყანას მოსვენების და უშიშრად მყოფლობის იმედი მიეცა. მსეც საქმაოა ჯერ-ჯერობით.

შემდეგ ერთი თვის ვაი-ვაგლახისა, როგორც იქნა, შესდგა პირველი სამინისტრო ახალი რესპუბლიკისა, 10-ს მარტს, შემდეგის პირებისაგან: უ. ბჰი უჭჰე — ვიცე-პრეზიდენტი სამინისტროს რჩევისა და მინისტრი შინაგანი საქმეებისა; უ. დჰი უფორი — იუსტიტიის მინისტრი; უ. დეკაზი — გარეშე საქმეებისა; ღვენრალი სი ს ს ე — მხედართ მინისტრი; უ. ლეონ-ს ე ე — ფინანსისა; უ. მალლონი — სახალხო განათლებისა; უ. ძაიო — საზოგადო მუშაობისა; დემა — სამეურნო და ვაჭრობისა; მონტენიაკი — ზღვისა და კოლონიების.

ამ ცხრა მინისტრისაგან ოთხი ძველებიდან დარჩა და ხუთი კი ახალია; რადგანც ძველებს თქვენც კარგათ იცნობთ, ამისთვის ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ ახლების ვინაობაზედ.

ბჰი უჭჰე — ორლენისტი და ნაპოლეონის ნამინისტრალია; ერთი





იმათგანი, რომელთაც ტიერი გადაგ-  
დეს პრეზიდენტობიდან. თუმცა ამ უ-  
კანასკნელ დროებში რესპუბლიკის  
დაარსებისთვის ხელი არ შეუშლია  
მით, რომ გამოჩენილი წინააღმდეგო-  
ბა არ გაუწევია, მაგრამ ნახევარი  
ბონაპარტიელისა და ნახევარი ორლე-  
ანისტიდან რა ხიერი უნდა დაე-  
ყაროს რესპუბლიკას? ამ დღეებში  
მან ტრიბუნად ნაციონალურ კრე-  
ბას გამოუცხადა პროგრამა მარ-  
თებლობისა, ე. ი. თუ რა გზაზე  
დაადგება და რა ნაირად უნდა მმ რ-  
თოს სამინისტრომ ქვეყანა. ამ პროგ-  
რამში, როგორც ნაციონალური  
კრება, აგრეთვე მთელი საფრანგეთი  
ბერს კეთილს ცვლილებას მოელო-  
და. მეორეთ, რომ მმართველობა გა-  
მოსცვლიდა თავის პოლიტიკურ მი-  
მართულებას, გადაყენებდნენ ბო-  
ნაპარტიელ ჩინოვნიკებს სამსახური-  
დან, პრესას მიეცემოდა თავისუფ-  
ლება და სხვ. მაგრამ საუბედუროთ,  
მოლოდინება მართა მოლოდინე-  
ბათ დარჩა და საქმეები იმ ნაირათ  
ჩნება, როგორც დე-ბროჰლის დაუ-  
ტოვებია.

**დ ჰ ი უ ფ ო რ ი** — ძველი ორლენის-  
ტი, სიბერის დროს გარესპუბლიკელებ-  
ბული. ძონსტიტუციური მონარხია ამ  
ქამათ შესაძლო რომ იყოს, ის პირვე-  
ლი მისი დამცველი იქნებოდა.

**ლ ე ო ნ - ს ე ე** — სუტი რესპუბ-  
ლიკელი და, მგონია სუსტი ფინან-  
სისტიკ, მაგრამ რესპუბლიკისათვის  
მაინც საიმედოა.

**დ ე მ ო** — იმ ორლენისტთაგანია,  
რომელიც ბონაპარტიტების რიცხვ-  
ში იქნება. ეს წინააღმდეგი იყო  
და არის რესპუბლიკის დაარსებისა.

**მ ა ლ დ ო ნ ი** — წარმომდგენილი  
ახალი რესპუბლიკის კონსტიტუციი-  
სა და პირველი მისი დამცველი. ის  
ეკუთვნის იმ ორლენისტებს, რომ-  
მეცნიც დროისა და ქვეყნის მოთ-  
ხოვნილებას ემორჩილებიან, და რად-  
განც მონარხია ამ ქამათ მოუხერხე-  
ბელია, ამისათვის, იმპერიის სიძულ-  
ვილისა გამო, დროებით რესპუბლი-  
კელები ხდებიან.

დასაბოლოებულათ მინისტრების  
ბიოგრაფიისა მომყავს ერთი პროვინ-  
ციის გახეთის შემდეგი სიტყვა: „შემ-  
დეგ ამდენი ხნის ლოგინობისა, ნა-  
ციონალურმა ძრებამ შობა ორლენ-  
ისტიებისაგან შემდგარი სამინისტრო,  
რომლისაგან რესპუბლიკას ბოლო  
უნდა მოედოს...“

ამას მე ვერას დაუმატებ. მხოლოდ  
იმედი უნდა გექონდეს, რომ შემ-  
დეგ ამდენის უბედურობისა ქვეყნას  
მიეცემა მოსვენება და ეხლანდელი  
რესპუბლიკა ციდან ჩამოვარდნილი  
ვარსკვლავით არ გაქრება.

**მ ე რ ც ო გ ი მ დ ი ზ რ რ ე პ ა**-  
კიე გუშინ წინ ნაციონალურმა კრე-  
ბამ ბჰიუჭყეს მოადგილეთ ამოირჩია  
პრეზიდენტათ. მდარე პაკიე პა-  
ტიოსანი და პატიე-ცემული კაცი.  
თავის მადლობის სიტყვაში, რომე-  
ლიც განუცხადა ძრებას ამ უდიდეს  
ადგილზე ამორჩევისათვის, შემდეგი  
შესანიშნავი და საყურადღებო ჰაზრი

წარმოასტკვა: „ქვეყანა მაშინ არის  
ბედნიერი, როცა თავისუფალია; მაშ  
ვეცადოთ, რომ ქვეყნას დაუმტკი-  
ცოთ რომ მყუდროება და უშიშრო-  
ბა, თავისუფლება თუ არ იქნა უიმი-  
სოთ მოუხერხებელია.“

პაკიე იმ გვარ კაცებს ეკუთვნის,  
რომელთაც სიცოცხლის მიზნათ აუ-  
ღიათ სამშობლოს სიყვარული და  
ბედნიერება. მათი დევიზია: „ჯერ  
სამშობლო და მერე პოლიტიკური  
მიზიდულება.“ თუმცა პაკიე წინდა  
ორლენისტია, მაგრამ როცა დაინა-  
ხა, რომ ორლენის მონარხისა საშ-  
ველი არ მიეცა, სცილობს სული-  
თა და გულით, რომ თავის სამშობ-  
ლო გამოვიდეს იმ უბედურებისაგან  
და გარყენილობისაგან, რომლის მი-  
ზეზი ოცი წლის იმპერია იყო. ის  
სცილობს ყოველ შემთხვევაში  
დაამციროს იმპერია და ბონაპარტი-  
ტები; მის სიძულვილს არა აქვს სამ-  
ზღვარი. დასამტკიცებლად ამისა  
მომყავს მისგან თქმული სიტყვა  
1872 წ. 22 მარტის შესახებ იმპე-  
რიისა:

„... დიხ, ოცდობი წელიწადია, რაც  
მე მძაბს იმპერია, რადგანც ოცდა ორი  
წელიწადია, რაც ჩემს სამშობლოს რყე-  
ნის!.. მანა სიმწრის შხამი არ მოვლიდათ,  
როცა პრუსიელები ბატონობდნენ ჩვენს მა-  
მულში! მანა არ გრძობთ კომლს დამ-  
წერის ჩვენის ქობებისა!.. გეტყვი, რომ  
მოაწია ჟამმა, რომ გაიგონოთ ხმა ძხი-  
ლისა: მარტს და გვიბრუნე ჩვენი  
„ლეგონები! და გვიბრუნე უკვდავი სა-  
ხეუი ჩვენი მამებისა! და გვიბრუნე ჩვენი  
პროვინციები!“

ამ კაცს უკავია ეხლა სახელმწი-  
ფოში მეორე ალაგი. მაგის ამორჩე-  
ვით ბონაპარტიტებს წელი მოწყდათ  
და პატიოსანი მამულის შეიღები კი  
დიდ მნიშვნელობას აძლევენ; მარტო  
ისიც კარა, რომ ეს წმინდა პრო-  
ტესტათ ჩათვლება მაკ-მაგონის პო-  
ლიტიკისა. მნახოთ, რა იქნება!..

P. S. თითქმის ნამდვილათ იციან  
ეხლა, რომ ნაციონალური კრება უნ-  
და დაიშალდოს სამუდამოთ ამ წლის  
ნოემბრისათვის და ახლის ამორჩე-  
ვა უნდა იქნეს წლისდამლევისათვის.  
ამ სგანზე მოლაპარაკება იქნება ამ  
დღეებში ძრებაში.

დ. დ—ნი.

## ბიბლიოგრაფია

### პირველი წიგნი

წერა-კითხვის სასწავ-  
ლებლათ, შედგენილი სურათე-  
ბით ამერიკულ მეთოდზე სასოფ-  
ლო შკოლებისათვის რ. ისარ-  
ლიშვილისაგან.

### II

მადრე ყმაწვილი დაიწყებს ანბანის  
შესწავლას, იმის საწერათ მომზადება,  
სხვათა შორის, მდგომარეობს იმაში,  
რომ შეგირდები ერევიან ასოების  
ნაწილების (ელემენტების) წერას. ამა-  
ვე დროს ისინი ჰყოფენ სიტყვებს  
და იგებენ, რომ ეს სიტყვები შეს-  
დგებიან ნაწილებისაგან, ერევიან ზო-  
გიერთი ხმოვანი ასოების (ხმების)  
წარმოქმას. ძითხვა და წერა, (ნაწე-  
რის და ბექტურის კითხვა) გვერდი

გვერთ უნდა მიდიოდნენ. მაგრამ  
ჩვენ (ქართულს) ნაწერს არა აქვს  
ერთ გვარი ხასიათი, — ზოგი ასე წერს,  
ზოგი ისე; ის არ არის დაყოფილი  
ელემენტებათ, და თითონ ამ ელე-  
მენტების მოძებნა და გამოყენა ძრი-  
ელ ძნელია და უსარგებლოცა. მარ-  
და ამისა, ჩვენი ნაწერი ძრიელ არ  
განსხვავდება ბექტურისაგან.

შეელო ამ მიზეზებისგან ჩვენ  
ვეფქობთ, რომ ცალკე ხელით ნა-  
წერი რეეულების შედგენა, ელემენ-  
ტების წერაში ვარჯიშობა არ შეად-  
გენს დიდ საქროებას, იმიტომ  
რომ ჩვენი შკოლა სულ სხვა გარე-  
მოებაში სდგას..... ამ შემთხვევაში  
ისევე ძველებურათ უნდა მოექცეთ,  
ესე იგი, ვაწერინოთ პირველ დაწყე-  
ბითს სწავლაში ბექტური ასოები.

როგორც რომელიმე ასო გამო-  
ირჩევა და გამოითქმება, იმავე დროს  
დაიწეროს ის ბექტურათ. მავიმეორებ,  
რომ ჩვენი ბექტური და ხელნაწე-  
რი ისე არ ირჩევიან ერთმანე-  
თისაგან, როგორც სხვა ხალხებისა;  
და ამით კი ჩვენ საქმეს გაფადვილებთ  
და დაეჩქარებთ: შეგირდი მოძეტე-  
ბულ შობატეულებას მიიღებს ასო-  
საგან და, მაშასადამე, უფრო ჩქარა  
შეითვისებს. მაინც და მაინც ასე უნ-  
და მოექცეთ, ვიდრე ხელნაწერი  
ერთ გვარ ხასიათს არ მიიღებს. ბო-  
ლო დროს, როცა შეგირდები შეის-  
წავლიან წერა-კითხვას, შეიძლება  
მასწავლებელმა მიჩვიოს ხელით წე-  
რას, აძლიოს კარგი ხელით ნაწერე  
ბი.

პქვე ვსარგებლობ შემთხვევით  
წარმოასტკვა, რომ ჩვენთვის არ იქ-  
იქნება სასარგებლო, რომ ყველა  
წერილობანებს გამოუდგეთ, რაც სხვა-  
გან გამოჩნდება. საკმარია პრინცი-  
პების გაგება და უმთავრესი აზრების  
ასრულება, რამდენათაც გარემოება  
და სწავლის მსელოლობა მოითხოვს  
და შეითვისებს. შკოლების პროგრამ-  
მა იმ გვართ არის შედგენილი, რომ  
მასწავლებელი უნდა ჩქარა გადავი-  
დეს კითხვაში და მისცეს რამ მასალა  
თავის სამშობლო ენაზე.

ამ შენიშვნების შემდეგ ჩვენ გა-  
დავალთ უმთავრესს ჩვენი სტატიის  
საგანთან.

პირველად მივაქცევთ ყურადღებას  
იმ მეთოდს, რომლითაც ავტორი ან-  
ბანს ასწავლის. ეს მეთოდი არის  
ხმოვანი ანალიტიური, ესე იგი, სიტ-  
ყვები იყოფებიან მარცვლებათ, მარ-  
ცვლები ასოებათ. ანბანის შესწავ-  
ლაში ანალიტიური მეთოდი სინტე-  
ტიურზედ მალლა სდგას: სინტეტიურ  
მეთოდის მხმარებელი იწყობს ასო-  
ებიდან, იმისთანა საგნებიდან, რომ-  
ლებიც შეგირდმა სრულებით არ  
იცის.

შეგირდი, რომელიც ლაპარაკობს,  
ყოველთვის სტეკამს ასოებს (ასოებს  
აქ ეხმარობთ ხმების მაგიერათ) თი-  
თონ წინადადებაებში, სიტყვებში,  
მაგრამ ცალკე გამოთქმის შემთხვევა  
იმას არა აქვს; ამიტომაც შემდეგ  
უქირდება უხმო (უკეთესი იქნება  
რომ იხმარებოდეს შემდეგი სიტყვა:  
ძნელად გამოასატევაში) ასოების


ცალკე გამოთქმა. ის ისე მიჩვიე, ამ  
ელემენტების ერთად გამოთქმას სიტ-  
ყვებში, რომ სრულებით გაუგებრი და  
ძნელია იმისთვის ამათი ცალკე გა-  
მოთქმა, თუ გონიერულათ არ მო-  
ვიყვანეთ მოსწავლე ამ საგანთან.  
ცალკე აღებულ ხმას (ასოს) კმ.წვი-  
ლისთვის არა აქვს არაფერი ჰაზრი.  
მარდა ამისა, ამ ხმებიდან სდგება ისევე  
უწინდელი საშინელი და უზრო  
მარცვლები: ბა, ბე, ბი.... მაშასადა-  
მე, აქ ირღვევა ერთი პედალოლოური  
კანონი: მოსწავლე უნდა გადაედეს  
ნაცნობიდან და ადვილიდგან უცნობ-  
თან და ძნელთან. პნალიტიურ მე-  
თოდში კი ამის წინააღმდეგ იქცევი-  
ან. როცა ბავში დაიწყობს სწავლას,  
იმან კარგათ იცის ლაპარაკი, ის გარ-  
ჩვეით სტეკამს სიტყვებს და ამ სიტ-  
ყვების აზრი ესმის. მაშასადამე, რომ-  
ცა წინადადებიდან ან სიტყვებიდან  
იწყობა საქმე, ეს ემორჩილება ზემოთ  
მოყვანილ კანონს და შემდეგ სიტყვე-  
ბის დაყოფისა, არის აქაც მარცვლები,  
მაგრამ ეს მარცვლებით ზემოთური  
მარცვლები სულ სხვა და სხვა გვართ  
მოქმედებენ გონებაზე. იქ უზრო  
სიტყვისგან სდგება ისევე უზრო მარ-  
ცვალი, ასე რომ შეგირდი ამ მარც-  
ვალს ვერაფერს ვერ შეაკავშარებს;  
აქ მარცვალი გამოირჩევა აზრიანი  
სიტყვიდან, ასე რომ შეგირდმა იცის,  
რომ ეს არის ნაწილი მთელი სიტ-  
ყვისა და ამ მთელში აქვს თავისი  
მნიშვნელობა.

ამისთვის არ შეგვიძლიან, რომ ამ  
მხრით ისარლიშვილის ანბანს არ  
მივსცეთ უპირატესობა ზოგებაში-  
ლის ანბანის წინაშე, რომელმაც (ზო-  
გებაშილმა და არა ანბანმა) ბარ,  
ძორფის ანბანზე უკეთესი ველარა  
მონახა რა.

მაგრამ, საუბედუროთ, უფ. ისარ-  
ლიშვილმა ბოლომდინ არ გაიყვანა  
ეს მეთოდი. ამას უნდა დაეწყოს მთ ე-  
ლი წინადადებიდან, და არა სიტყვი-  
დან. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ  
მაშინ შეგირდი უფრო კარგათ მიხე-  
დება და გაიგებს სიტყვის ნაწილებს —  
მარცვლებს და ხმებს. რადგანაც ამ  
უკანასკნელს შემთხვევაში, ე. ი., რომ-  
ცა სიტყვა ან მარცვალი იყოფა ასო-  
ებათ, მოსწავლეს ეს ძლიერ უჭირს,  
ამისთვის საჭიროა, რომ ცოტა ზე-  
მოდამ მოვილოს საქმეს. შეგირდის-  
თვის ცხადია, რომ წინადადება შეს-  
დგება სიტყვებისაგან, სიტყვები მარ-  
ცვლებსაგან, — მაშინ ეს უკანასკნე-  
ლი შემთხვევაც ძლიერ საქმეს არ  
გაუჭირებს. ამიტომ უკეთესი იყო,  
რომ ავტორს წინადადებიდან დაეწყ-  
ო ანალიზი. მაგრამ თითქო ამ საქ-  
მეს უშლის ავტორისგან ამ შემთ-  
ხვევაში სურათების ხმარება. აქ ვიტ-  
ყვით სურათებზე.

პირველათ, თუ ეს ასრეა, ავტორს  
შეეძლო სხვა გვარი სურათები დაე-  
ხატა, იმისთანა სურათები, რომლე-  
ბიც მოითხოვდნენ მთელ წინადადე-  
ბით გამოხატვას (გამოთქმას). შორს  
სიარული არ იყო საჭირო: ისევე,  
მაგ., ბატი, მხოლოთ გ უ ბ ე შ ი ან  
წყ ა ლ შ ი მტურაეი, მკუჭუჭულაეი.  
მაშინ ამ სურათის ქვეშ იქნებოდა





დაწერილი: ბატი ცურავს წყალში. ამ გვარ წინადადებით გამოხატულ სურათებს სხვათრეც მნიშვნელობა აქვს. ცალკე აღებული სიტყვები უფრო ხმელთა, ძველად გასაგები და წარმოსადგენია, ვიდრე მაშინ, როდესაც ამ სიტყვებს მიეწერება რამ ნიშანი, მოქმედება. როდესაც ბავშვი ჩასტყვის ბატს, იმის თავში თითქმის არაფერი წარმოსადგენა არ იბადება, ან იბადება არეულ დარეული წარმოსადგენა, რადგანაც იმის გონებაში შედიან სხვა და სხვა გვარი ნიშნები, რომლებიც იმან ნახა ცხოვრებაში ბატთან. ეს იმისგან წარმოსადგება, რომ ყმაწვილს იმოდენათ არა აქვს გონიერების ძალა გახსნილი, რომ საგნები, პირუტყვები წარმოადგინოს ცალკე იმ მოქმედებათა და ნიშნებთაგან, რომლებიც იმან გონებაში ამ საგნების წარმოსადგენასთან შეაერთა.

წინააღმდეგ, როდესაც მე ვიტყვი: ბატი ცურავს წყალში, ძალი იყვება, ცხვარი ბლავის... მაშინ ბავშვის გონება უფრო შეიძვრება, იმას ეს საგნები უფრო კონკრეტულად და ნათლად წარმოუდგება. ბარდა ამისა, ამით მიეცემა მასწავლებელს უკეთესი შემთხვევა, რომ ამ საგნებზედ ებასოს. მითონ ავტორსაც აქვს ზოგი იმ გვარი სურათები, რომლებზედაც შეიძლება მთელი წინადადება ითქვას, მაგ., ბუდე ხეზედ. მეორეთ, თუ სურათები მოუშლის ამ გვართ ანალიზს დაწყებას, ისინი ამ ადგილას სრულებით არ უნდა იყვნენ. შეიძლება, რომ ეს სურათები ყოფილიყვნენ მარტო შევირდებთან საბაასოთ იმ საგნებზედ, რომლებსაც ისინი ხატვენ—ან ბოლოში ან თავში, და არა იქ, საცა სიტყვები იყავება ნაწილებათ. მაგრამ ამაში ავტორი სრულებით არ დაგვანხმდება; ეს სურათები რომ სხვა ადგილას იყვნენ, მაშინ სრულებით გაქარწყლდება მეთოდი უფ. ისარლიშვილისა, რომელიც ამბობს, რომ ჯერ აჩვენეთ ყმაწვილს დახატული სურათი, მერე უთხარი, რომ აქ ამ საგნის სახელი სწერიაო. ამ სიტყვის წარმოსადგენა ყმაწვილისთვის

რასაკვირველია, რომ ძალიან ადვილია (სიტყვის წარმოსადგენა), როგორც თვით საგნისა, რომელსაც თვლით ხელსა (62 გვ.). ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ „სიტყვის წარმოსადგენაში“ სურათმა უშედეგოა რამე. მსთქვით ეს ასეა, მაგრამ აქ უმთავრესი საქმე სიტყვის წარმოსადგენაში კი არ მდგომარეობს, იმის ასოებათ დაყოფაშია და ამ ასოების (უხმო ასოების) ცალკე გამოთქმაში, — აი რა არის ძნელი, მაგრამ საჭირო, და ამაში არ ვიცი, სურათი რას შეეწევა.

სურათები ამ შემთხვევაში უკეთესათ იხმარა რუსის პედალოღმა, მღ. ბლინოვმა. ამ სურათების შემწობით იმან თავისი მეთოდი არითქვეულ ფორმებით გამოხატა. საქმე მდგომარეობს შემდეგში: პირველად არის დახატული, ესთქვით, იმისთანა საგანი, რომელის სახელი შესდგება ერთი მარცვლისაგან და ბოლოვდება უხმო ასოთი, რომელიც ყმაწვილებმა უნდა შეისწავლონ. ის ხედავს სურათს, წარმოსთქვამს იმის სახელს, სიტყვას, რომელშიაც არის ნაცნობი ასოები, ერთის მეთ. ამ ერთს თითონ სხვის უშემწევით გაიგებს. მაგრამ აქ სურათებსა აქვს ძლიერ კარგი სისტემა: ყველა ახალი სურათი არის იმისთანა, რომ ურევია მარტო ერთი უცნობი ასო და ესეც ან თავში და ან ბოლოში; გარდა ამ უცნობი ასოების შესასწავლელ სურათებისა, არის იმისთანა სურათები, რომლებსა სახელებში ურევია ნაცნობი ასოები, დაწყობილი სხვა და სხვა ადგილას—შუაში, ნაპირათ...

ისარლიშვილის სურათებში კი ჩვენ არაფერ სისტემას არ ვხედავთ, აქ სხანს წმინდა პედალოღიური უწყობა. როდესაც ყმაწვილმა შეიტყო ოთხი ასო ერთ სიტყვაში (ბატი), მერე სიტყვაში (ბუდე) ემატება სამი ახალი ასო (უ, დ, ე), მესამეშიც სამი, მეოთხეშიც, მგონია, სამი... (როგორც სხანს ავტორს შეჰყვარებია კენტი—სამება). მითონ ეს ასოები სიტყვებში დაწყობილია სხვა და სხვა ადგილას, უსისტემოთ. მართის სიტყვით, ასე ნახმარი სურათები სრულ

ლებით ვერა შევლიან ასოების შესწავლას და ამ მიზნისთვის სრულებით არ უნდა იხმარებოდნენ, თუ ანბანის შემდგენელს კარგათ არ ესმის პედალოღიური საქმე.

ავტორთვე ყველა სურათები ვერ ასრულებენ უთავრესს დანიშნულებას,—რომ გაადვილონ ყმაწვილის გონებაში რამ აზრები, ინტერესი და მისცენ მასწავლებელს თავის შინაარსი. შემთხვევა ბასებისა, არიან ზოგნი კარგები, მაგ. პეველა, ბუდე, ვაშლი, მაგრამ ამასთან არიან ასეთებიც, როგორც: გასაღები, კოვზი, ბეჭედი, ნიჩაბი და სხვა ესენი იმისთანა უბრალონი და უმნიშვნელონი, რომ არ იყო სრულებითაც საჭირო. მართი არ არის იმოდენათ რთული სურათი, რომ საინტერესო და ცოცხათ ბნელი იყოს ყმაწვილებისთვის. არა ყველა იმას, რაც არტყია გლეხის შეილს გარეშემო, ექნება გამხსნელი გავლენა იმის გონებაზე. ბარდა ამისა, გლეხის ბიჭმა უნდა გაიცნოს ის ნივთებიც, რომლებიც იმას არ არტყია გარეშემო. ამასთანავე სურათები არის საძაგლად დახატულა და ზოგი სრულებით არა ჰგავს, მაგ., რომელმხარეში და სოფელში ნახა ავტორმა ამ ნაირი ნივთები. თუ ჩვენი ალექს. ბლში მებაღეების ხელში—არც იმათა ჰგვანან, ასე რომ გლეხის ბიჭი არას დროს არ დაიჯერებს, რომ ამისთანა ნიჩაბი სადმე იყოს. ასეთივეა კოვზი.—მე არ მეგონა, თუ კოვზი და ნიჩაბიც იქმნებოდნენ ფანტაზიადამ!... მომეტებული სურათები უნდა იყოს ცხოველებისა; აქ ესენი ძლიერ ცოტანი არიან. (შედეგი იქნება)

### ნარკვი

საფრანგეთის ერთ სოფელში მომკვდარა ამას წინათ ერთი ას-სუთი წლის მოხუცებული დედა-კაცი, რომელსაც ოთხი შთამომავლობა დაუტოვებია: ათი შვილი, ას-ერთი შვილის-შვილი, სამოცი შვილის-შვილის შვილი და ორი შვილის შვილის-შვილის შვილი. შარშნდელ წლამდე ამ დედა-კაცს სრული ჰაზი და გონება ჰქონდა თურმე, მუდამ მხარული იყო, ფესშიშველი დაიარებოდა და ან ხის ფესხსმელი ეცვა. სულ ის აწუხებდა, ვაი თუ მოკვდებოდა. შარშან

დამბლა დასცემია და ლოგინად ჩაეარდნილა. უკნასკნელ დროს მუდამ მხარულად იყო, რომ თურმე, რომ წინააღმდეგ მოვესწრებოდით, რომ ჩვენ (ფრანკუზებმა) ბერლინი ავიღოთ და ბერმანია დავამარცხოთ. მაგრამ ვერ მოვსწრო!...

\* \* \*

ინგლისის ჯარში დღემდის ჩინების ყიდვა კანონი იყო მიღებული. მაგრამ ახლა უმღლეს მთავრობას გადაუწყვეტია, რომ ჩინების მიღება მხოლოდ სამსახურითა და სწავლით შეიძლება და ფულით ყიდვა ალიკრძალბაო.

\* \* \*

„ღრობაშიაც“ იყო ამას წინათ, მგონია, გამოცხადებული, რომ არხანგელსკის გუბერნიის ზოგიერთ მღვდლებს პირობა შეუტრავთ ერთმანეთში, რომ ჩვენს პირში დღის შემდეგ არაყი არ ჩაუშვათ, პირიდან ცუდი და უკადრისი რამე სიტყვა არ ამოუშვათ და საზოგადოთ ყოველ ცუდ მოქმედებას ვერიდოთო. ახლა ამბობენ, რომ ამგვარივე საზოგადოება ნახევენ სოხების ტურ-ტურებსაც შეუდგენიათ. შერ თვითონ ჩვენ უნდა შევიქნეთ ზნეობიანი და მერე სხვებს უქადაგოთ, მაშინ ექნება ჩვენს სიტყვას და ცხოვრებას კეთილი გავლენაო, — ასე ამბობენ თურმე ეს მღვდლები.

\* \* \*

ს. პეტერბურღის ოლქის სასამართლოს გამომძიებელს დაუწყია განხილვა იმ ლინეის საქმისა, რომლის ალიან-ჩალიანი „ღრობაში“ იყო ამას წინათ აწერილი, რომელსაც სხვისი სახელის (შავკუაძის) მითვისებას, ლონდონში, შენაში და მოსკოვში სხვა და სხვა ცუდ-კაცობის ჩადენასა და რამდენივე კაცის მოტყუებას აბრალებენ.

**ალექსანდრე ქარსიძე**

ხადებს რა თავის მამის ნიკოლოზ ქარსიძის ბარდაც-ვალვებს, უმოჩინილესად გთხოვთ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ მობრძანდეთ მიცვალებულის გვამის გატანაზე პრიკოვის სახლიდამ, ანჩისხატის ეკლესიაში, 27 მარტს, საათის 9 ზე.

რ. მ. ზ. მ.	ლილა.	საღამ.	II კ.		III კ.		საქმის გვერდი	ფოტო	ბირჟა	მან. კაპ	მაზანდა	მან. კაპ
			1	2	1	2						
თფილისი	8 18	8 17					ა) შოთილდამ:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 21 მარტს.		თფილისი, 25 მარტს.	
ცუთა	9 18	10	68	38			მდესისკენ — ორზაბ. დილის მსაათ.	სამზღვარ გარეთ, შუთაისს, რუსეთს	ერთი მანეთი ღირს:	84	პური შორაგალის ფთ.	1 20
ზორი	11 39	1 43	2 40	1 23			სტამბოლს — კვირაობით დილას.	ყოველ დღე კვირას გარდა. ზუღდ.	ლონდონში 33 პენსი.	89	მერი ფუთი.	60
სურამი	1 52	4 30	3 92	2 18			ბ) სოხუმიდამ:	ოთხშ., მზურგეთს — პარასკ და	პარიზში 350 სანტიმი.	6	ბამბა მრეწვისა, ფუთი.	4 60
ბეჟათუბანი	3 45		4 42	2 46			შოთს — სამშაბათს, ღამით.	ორზაბ. ბაქოს — ორზ. სამშაფ. და	სკონტი(სარგებლისფასი)	98 75	— ამერიკისა, ფუთი.	6 70
შვირილა	6 49		5 81	3 23			მდესას — კვირას, გათენებისას.	შაბ. ბახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%	197 50	მაგენტოლი ბამბა ფთ.	8
შუთაისი	7 55		6 75	3 75			შოთილდამ: I II III	ბ) შუთაისი დამ:	მოგებიანი(პირველისესხი)	193 25	მატული თუშური ფთ.	6
სამტრედია	9 2		7 73	4 29			სოხუმიდამ. 4 3 1	თფილისისა და შოთისაკენ — ყო-	მოგებიანი (მეორე სესხი)		— თარაქამისა ფთ.	3 60
ახ.-სენაკი	10		8 57	4 76			შერამდი. 20 50 15 50 5	ველ დღე, კვირას გარდა. მზურ-	ბოროოს ფურცლები:		პბრეშუმი ნუხური გრ.	2 60
შოთი	11		9 75	5 42			ტაგანროგ. 34 27 8 60	გეთს — ორზ. და პარასკ. ზუღდიდს	თფილ. სააზნ. ბანკისა.	87	— მონი, ფუთი.	4 40
შოთი	7 38						მდესსამდი. 38 30 9 60	— ოთხშაბ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	80 50	მონის სანთელი ფუთი.	5 60
ახ.-სენაკი	9 11		1 18	6 6				გ) ბოროი დამ.	მოსკოვის (5%).		სტეარინის სანთელი, ფ.	10 20
სამტრედია	10 12		2 6 1	14				შოველგან ყოველ დღე, კვირას			ხორცი ძროხისა, ლიტ.	90
შუთაისი	11 17		3 4 1	69				გარდა.	აქციები:		— ცხვრისა, ლიტრა.	1
შვირილა	12 38		3 98	2 21				დ) შოთი დამ:	მდესის სავაჭრო ბანკის.	224	სპირტი, ვედრო.	7
ბეჟათუბანი	3 27	ღამე	5 33	2 96				ყოველგან — ყოველ დღე, კვი-	შოთი-თფილ რკინ. გზის	133	— შაქარი, კარგი ფუთი.	8 55
სურამი	4 57	12 30	5 84	3 24				რას გარდა.	შავიზღვის ცეცხ. გემების	560	— ფხვნილი ფუთი.	6 90
ზორი	7 23	3 31	7 36	4 9				წიგნის გაგზავნა რუსეთში:	ბავკაზის და მერკურის.	168	შეთი ქუნჯუთისა ფთ.	6 40
მცხეთა	9 52		9 8 5	4				ლა წიგნის	პირვე საზღვევ. საზოგ.	665	მკრო 1/2 იმპერიალი.	5 99
თფილისი	10 49	8 2 9	7 5 5	42				დაბეჭდილის (სამი მისხალი).	პეტერბ. საზღვევ. საზ.	263		
									მოსკოვის საზღვევ. საზ.	257 65		